წელიწადი მეორე. № 14. 6 აპრილი 1878 წ.

**ხელის-მოწერა:**

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

**«ივერიის» ფასი**

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა ........ 3მ. 50კ.
თითო ნომერი .......... 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილს წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ხუთშაბათობით

**სარჩევი** I. საქართველოს მატიანე ტფილისი.— II. «ივერიის» კორრესპონდენციები: ქართლელის ფიქრი გაზაფხულის პირზედ. ქართლიდამ, კახის უბნისტყიდამ, საგარეჯოდამ, კახეთიდამ, კასიდამ.— III. საპოლიტიკო მიმოხილვა ინგლისი, გერმანია.— IV. სიმღერა (ლექსი) ს. ოქრომაშვილისა. V. სისხლის მოჩვენებაზე (ნაამბობი კაცრელისა).— VI სასამართლოს მატიანე, საქმე ანდრეევსკის ქალის მოკვლისა (შემდეგი).— VII. განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

**ტფილისი.** სამს აპრილს საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ქართულის სცენის მოყვარეთა შექსპირის ტრაღედია „ვენეციელი ვაჭარი," თარგმნილი დ. ი. ყიფიანის მიერ. დიდძალი მაყურებელი დაესწრო ამ წარმოდგენაზედ. არც ერთი ლოჟა არ იყო ცარიელი და თვით პარტერიც თითქმის სავსე იყო. აშკარაა რომ ქართულს სცენას ბევრი მიმყოლი და მაყურებელი ეყოლება, თუ რომ რიგიანად გაიმართება და მოეწყობა.

ეს ხომ ასე იყო, მაგრამ ჩვენც მაინც ჩვენსას ვიტყვით. ჯერ მინამ წარმოადგენდნენ, ჩვენ გვიკვირდა რომ ჩვენის სცენის მოყვარეთ ეგ ტრაღედია ამოარჩიეს წარმოსადგენად. ჩვენ ამით წუნს კი არა ვსდებთ თვით ტრაღედიას, ანუ მის თარგმანს, რადგანაც ტრაღედიაც ნაქებია და თარგმანიც საკმაოდ კარგია. ჩვენ მარტო იმის თქმა გვინდა, რომ ეგ ტრაღედია სცენისათვის ისე მოსახერხებელი არ არის, როგორც საჭიროა. ამიტომაც მაგ ტრაღედიას ძალიან იშვიათად ნახავთ სცენაზედ არამც თუ რუსეთში, არამედ სხვაგანაც და თუ ნახავთ ან ცალკედ ამოღებულს სცენას, ანუ შემოკლებულს და სცენისათვის გადაკეთებულს, როგორც, მაგალითებრ, გადაკეთებულია რუსულად აპ. გრიგორიევის მიერ.

ეს ერთი იმისთანა მიზეზია, რომლის გამოც წარმოდგენილი სამს აპრილს „ვენეციელი ვაჭარი" ვერ უნდა გამოსულიყო კარგად. მეორე მიზეზი, სწორედ მოგახსენოთ, თვით მოთამაშეების ბრალია. მოთამაშენი ვერ იყვნენ კარგად შერჩეულნი. ზოგი სრულიად არ ვარგოდა. ზოგი ერთი ხელებს ისე უღმერთოდ და უალაგოდ იქნევდა, თითქო მკლავების სავარჯიშოდ არის მიწვეულიო; ზოგმა კიდევ როლი არ იცოდა და ამის გამო ბევრჯელ მოიკუმშა ტუჩები და რაც სათქმელი იყო, გადაყლაპა. რა დაგვემართა ამ ქართველებს! ეს როლების უცოდინარობა რა ღვთის წყრომაა! ეს ხელფეხის ხმარება როგორ ვერ მოგვიხერხებია! ამას გარდა, ის რაღა ჩვეულებაა, რომ ზოგიერთი იტყვის ერთს ორს სიტყვას თუ არა, მაშინვე ბოლოთა უნდა გამართოს. ეს წამ და უწუმ წინა და უკან სიარული, საჭიროა თუ არა, რა ამბავია! ნუ თუ ძნელია ამის დაშლა.

ჩვენის ფიქრით, ლაზათიანად წარმოდგენილ იქმნა ლანსლოს და გობბოს ერთმანეთთან შეყრა, ნამეტნავად გობბომ საკმაოდ კარგად ითამაშა ცოტა რომ ბოლოს არ დაემყავებინა. უფ. ავალიშვილი რიგიანი მოთამაშეა, და უფრო კარგი იქმნება, რომ წამ და უწუმ თავის ქნევა და ხელისა დაიშალოს. ურიგოდ არ იყო უფ. შიშნიაშვილიცა. ეგ ყოველთვის რიგიანი აღმსრულებელია თავისის როლისა. ძალიან მოგვეწონა ნერისსას თამაშობაცა. ჩვენის ფიქრით, ტრაღედიაში უმთავრესის ქალის როლი მარ. ყიფიანისას რომ არგუნონ ხოლმე, არ შესცდებიან. ჩვენ ორჯელ გვინახავს უფ. მარ. ყიფიანის თამაშობა და ორჯერვე ის აზრი გამოგვიტანია, რომ მას სხვაზედ უკეთ შეუძლიან მძიმე და ძნელის როლის აღსრულება. არც ჯასსიკა იყო ურიგოდ.

ჩვენი ნიჭიერნი მოთამაშენნი ვოდევილსა და კამედიებში უფ. კ. ყიფიანი და უფ. ელ. ყიფიანისა ვერ

იყვნენ ისე, როგორც შეჰფერის მათს ნიჭიერებას. მართალია, სხვას რომ ისე ეთამაშნა როგორც ამათ ითამაშეს; მაინც ბარაქალას ვეტყოდით, მაგრამ ამათ კი ვერ ვეტყვით. ვისაც ბევრი მიჰსცემია, იმას ბევრიც მოეთხოვებაო, ნათქვამია. უფ. გ. ყიფიანმა შეილოკს წარმოადგინა ისე თითქო სავოდევილო ურია არისო და არა ის კაცი, რომელსაც ამოქმედებს რწმენა, დაუძინებელი მძულვარება ქრისტიანების მიმართ და შურის ძიება. ამის გამო ბევრი სატრაგიკო სცენა სასაცილოდ გახდა. უფ. ელ. ყიფიანის მოთქმას უფრო ქადაგობის სახე ედვა, ვიდრე მეტყველებისა და საუბრისა. ამის გამო ერთი გულით ხლმოთქმული სიტყვა ვერ გავიგონეთ პორციასაგან მთელს საღამოს. განა კი ცოტა გულით სათქმელი სიტყვა აქვს პორციას!

ესეც კი უნდა ითქვას, რომ შეილოკსას როლი და პორციასი გამოჩენილთ მოთამაშეთაც უჭირდებათ ხოლმე.

---

## ქართლელის ფიქრი გაზაფხულის პირზედ

ზმეღირსა ქართლელებსაც გაზაფხული. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს. მაღლობები და ბექები მწვანით იმოსება. აგერა გლეხიც ზლაზნით გავიდა მინდორში, თითქო მსუსხავი გაზაფხულის მზისა ეშინიანო, და მიწას მწვანე ხავერდიან გულს ორხლით აღმა უბრუნებს. ერთკილოვანი ჰოროველა გულსაკვლავად დუღუნებს გაზაფხულის კამკამ ჰაერში, როგორც დიდმარხული მღვდლის ლოცვა. ვინ იცის რას ლოცულობს გლეხი, ახლად გამოსული თბილს ბოსლიდამ და რას ეხვეწება გამშვენიერებულს გაზაფხულის ბუნებას. იქნება და იმასაც გული უკვდება თავის ბედისა და ბუნების სხვა და სხვაობით? იქნება და ესეც თავის თავის ბედის განკარგებას ავედრებს ამ ბუნებას, რომელსაც, როგორც თანამედროულ ტურფად მორთულს ქალს, არც გული აქვს, რომ თანაუგრძნოს და არც ჭკუა აქვს, რომ უშველოს რამე? რა უგრძნობელია და გაქვავებული ეს ბუნება!

— რა გინდა, შე საწყალო გლეხო, რას მოელი შენ ჩემგან?—თითქო ეუბნება კოხტათ მორთული ბუნება:—«რაც მოგიბარებია, ის წაიღე, მაგრამ სანამდინ წაიღებდე იტანჯე და ეწვალე იმის გაგებაზე, თუ რამოდენა სარგებლით გიბრუნებ შენს ანაბარს. შენც გინდა იშვიათის მეცნიერივით შეგეძლოს გაგება, თუ რამდენი წვეთი ჩამოვარდება ციდამ რომელიმე ალაგას? ან ქიმიკოსივით, როგორც ლიბიხი, იცოდე, რა ნიადაგი უნოყიერესია, და ან რა საშუალებით განოყიერდება? მე იმათი მადრიელიც არა ვარ. ჰმ, ნეტა რას ეჯაჯგურებიან ჩემ ორგანოვანს და უორგანოს სამეფოს? ჩემგან ვერასფერს ვერ წაიღებ, თუ სისხლზე არ შეღექი. სხვას რა შველას ელი ჩემგან? სად არიან შენი კეთილის მყოფელნი, რომელნიც კალმებს წვერებს ამტვრევენ, იმდენსა ჰსწერენ და შენ საწყალ ბედზე ენის წვერები სტკივათ ბევრის ლაპარაკით და ყბედობით თავიანთ ოთახებში? რატომ არ გიშველიან ის ცრუ მეგობრები და შენს დაღონებულს ჰოროველას მხიარულ და გამარჯვებულ მღერად არ შეჰსცვლიან? განა შენ დაგლეჯილს ჩოხაახალუხს გამოცვლა არ უნდა? განა გაქვს კიდე რამე ფული, რომ დაბრუნებულ მილიციონერებს მისცე? არა, თუ მაინცა და მაინც არ დაიშლი, შენთვის ისევ შენვე იფიქრე; ხომ ჰხედავ შენთვის არავინ არის? ხომ ხედავ აგერ მთელს ჩემს ორგანოვანს სამეფოში რა ბრძოლაა ცხოვრებისათვის და კაის ბედისათვის. აგერ ეს ცხოველი, ეს მხეცი, როგორ ჰყლაპავს მეორე ცხოველს. შეხედე ამ ცბიერ კატას, როგორ განაბულა და როგორ უნდა სტაცოს პირი უზრუნველად მოჭიკჭიკე ბეღურაჩიტსა. აგერა ერთი მცენარე, როგორა ჭკნება და მეორე როგორა ხარობს იმის ალაგზე; აი, ამ ბალახს, რა ნაირად ჰყლაპავს ცხოველი და შენ კიდე ამის გემრიელ ხორცსა.

ჰხედავ, როგორ ერევა მძლავრი სუსტსა, როგორ სჩაგრავს ღონიერი უღონოსა და ჭკუიანი უჭკუოსა? შენც ასე ხარ, თუმცა ხარ ქმნულებათა გვირგვინი, დაჩაგრული ღონიერისაგან და მძლავრისაგან, ჭკვიანისაგან და გაქნილის გაიძვერასაგან.»

ღმერთო, რა უსინდისო მოძღვრებაა!.... რა უგულო და უსულოა ის საზოგადოება, რომელიც ამ მცნებით ხელმძღვანელობს თვის ცხოვრებაში. ის სწავლა და მცნება, რომელნიც მარტო მგლებს და საზოგადოდ მხეცებს გამოადგებათ, ჭკუითა და გულით აღჭურვილს კაცსაც უნდა გამოადგეს თუ? რა

დამცრობაა კაცობრიობის ზნეობისა!! რა უწყალო თავსაცილოდ აგდებაა იმ უმაღლესის სწავლისა, რომელიც კაცსა ხდის კაცისავე წამლად. არა, არა!.. არშემცდარა იგი, ვისაც უნატრია ეს:

აღყვავებულა მდელო  
აღყვავებულან მთები....  
მამულო საყვარელო  
შენ როსღა აღყვავდები!...

გ. გოდორია.

---

„ივერიის“ კორრესპონდენციები.

ქართლი, სოფ. ხოვლე 23 თებერვალს. ხოვლეს სახელს გაიგონებს თუ არა ქართლელი, მაშინვე იქაური ღვინო მოაგონდება. — რა ღვინოა ი დალოცვილი' მე და ჩემა ღმერთმა, ერთი იმათი გაჭედა რათაც უნდა ღირს! დაიწყებს ხოლმე ის ამ გვარ კილოზე მუსაიფს და თანაც იმ ნაირ მადაზე მოდის, რომ პირში ნერწყვი ერევა. არცა სტყუის ჩვენი გამოუყევეჩებული, ცალ-ყბიანი ქართლელი: ეგ არის იმის ცოდვის კითხვა რომ, სადა უნდა წავიდეს, ის მარტო ღვინოს ათვალიერებს და ჭაშნიკებს შინჯავს; სხვა ვერაფერი ვერ მიიზიდავს იმის გაბრუებულს ყურადღებას. თორემ ხოვლეში მართლაც რომ კაი ღვინო მოდის. ამის მიზეზი, სხვათა შორის, არის მდებარეობა ხოვლესი: იგი მდებარეობს ერთს პატარა ღელეს ფერდობებზე, რომლებსაც მზე ძრიელ სუსხავს. მდებარეობის გარდა ხელს უწყობს თავად ნიადაგიცა, რომელიც არც თუ შავი მიწაა, არც თუ ლამია. ფერი ნარინჯისა დაჰკრავს ერთის შეხედვით და წარმოადგენს თიხას, შერეულს შავ მიწასთან. ამ ნაირი ნიადაგი, ძრიელ ახარებს ვაზს.

X

ამ ღვინის გამოისობით ლხინიც კარგი ჰსცოდნიათ ხოვლელებს. აი, მაგალითებრ, ეს ყველიერი სულ ჭიდაობაში, ჩალიჩში და სალეკ-მალეკში გაატარეს. სხვა ფრივ დაჩაგრული და გაბრუებული შავის ბედისგან ბეჩა-ქართველი ახლა ბახუსის სამსახურით აღტაცებაში იყო მოსული და სულ ფერი იცვალა. ისეთსა დახტოდა და მარდად უვლიდა წრეს გარემო ჩალიჩით, რომ ისტორიული ქართველი მოგაგონდებოდა. ფეხზედ ეკიდა ამას, თუ იმის ტყე უწყალოდ იკაფებოდა ვიღაც «ფოდრაჩიკის» წყალობით. თითქმის ყოველს კომლს დამზადებული ჰქონდა თითო-თითო საჟენი შეშისა და უნდა ჩეეტანა პოდრაჩიკისთვის გრაკლის სტანციაზე. სოფლის ასომთავრულებიც კი გულს არ აკლებდნენ ბახუსსა და ერთგულად ემსახურებოდნენ. გაცხარებული რიგ-რიგა იყო გაჩაღებული ამათში. სტაქნების და ბოთლების რახა-რუხი ყურს უჭედავდა კაცს. რომ დასტკბებოდნენ ხოვლურის ღვინის სმით და მოდურის ლექსის მღერით, მაშინ უცებ სანახაობა გამოიცვლებოდა და თვალ-წინ წარმოგიდგებოდა მწვანე სტოლი, რომელსაც გარშემო უსხდნენ ფერადის ტანისამოსით თავადნი, თითქო სხდომაა აღმოსავლეთის საქმის გარდასაწყვეტად და წამ და უწუმ ისმოდა რაღაც ხმანი და სიტყვები.... ტზრ, ტზრ, ტზრ.... ხუმრობა იქით იყვეს და კაი გარდაწყვეტილობა კი დაიდო ერთს ამ ნაირს ტზრ, ტზრ, ტზრას შემდეგ. ერთმა თავადთაგანმა წინადადება მისცა, რომ მესამედი ქაღალდში მოგებულის ფულისა წასულიყო აქაურის სოფლის შკოლის სასარგებლოდ, და ეს განჩინება მიღებულ იქმნა ხმის უმეტესობით.

არც ნამცეცობა გავიდა შეუნიშნავად. თუმცა ბუნება თითქო გაწყრაო და კარგა ბლომად თოვლი ჩამოყარა, მაინც კიდევ ყეინობა არ მოაშლევინა ხალხს და ყეინი წყალში ბოლოს მაინც კარგა დაალბეს. ასომთავრულებს ხომ კიდეც გაეხარდათ თოვლის მოსვლა და ნამცეცობა სულ კურდღლაობაში გაატარეს. ერთი ხროვა მწევარ მეძებარი მოედო ხოვლეს ვენახებს და ცივი ქარიანი ჰაერი ხმაურობდა წევრების სევის ხმით და ჰიო, ჰიოს და ჰეი, ჰეის მახილით. მარტო სოფლის მასწავლებელი არ იზიარებდა საზოგადო სიხარულს და მეცადინეობდა თავის ერთგულ შაგირდებთან. ყეენობამ არ დაამშლევინა შეგირდებს შკოლაში მისვლა და თავის გაკვეთილების მიბარება თავიანთ საყვარელ მასწავლებლისათვის. შეუძლებელია გამოიხატოს კალმით ის უსაზღვრო სიამოვნება და სიხარულის გულის მგერა, რომელიც მე ვიგრძენ მაშინ, როდესაც ამ «ვაკხანალების» ალიანქოთში ეს დაგლეჯილი გლეხის ბიჭები ისეთის გრძნობით ამბობდნენ ზეპირად ლექსსა, რომ ღმერთმა შეარცხვინოს იმათთან კაი რიტორები და პეეტარნი. რა ცოდ-

ნით უჩვენებდნენ ისინი გლობუსზე სხვა და სხვა ადგილებს და გზებს — საამური იყო თვალისა და გულისათვის. ეგრე, ეგრე, სოფლის მასწავლებელო! იშრომე ხალხის კეთილ-დღეობისათვის, ჩუმად, შეუნიშნავად როგორც ფუტკარი თავის სკაში. შენ დაუვიწყარი იქნები შენს პატარა სამშობლოში. დეე, რაც უნდა ქნას მტრის გესლიანმა ენამა, შენ მაინც კიდევ იშოვით პატიოსანს შრომას, შენ მაინც კიდევ შესწირავთ განდევნილო სემენარიელო, შენ იშვიათ ენერგიას და მტკიცე სულს შენს საყვარელს ხალხს......

გ. გოდორია.

---

**კახის უჩასტკიდამ.** 9 მარტი. კმაყოფილებაშია ამ ჟამად ხალხი ერთის მხრით! აქამომდე ექვსიოდე მანეთსაც ვერ შოულობდა სახლში, რომ სახელმწიფო ხარჯში მიეცა, რომლისთვისაც სომეხ ზოკთან უნდა მიქცეულიყო; დღეს კი სხვა და სხვა მიზეზების წყალობით, ერთი ინგილოც არ არის, რომ ორმოცი სამოცი მანათი ხელში არ ჰქონდეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ღვინო წელს აქ კარგ ფასათ გაიყიდა, აგრეთვე პურიც, ბრინჯიც, ქერიც, ფეტვიც, თივაც და ყველაფერიც. თაღარი ღვინო (მესამედი საპალნესი) რომელიც წინ ერთ თუმნად იყიდებოდა, ამ წელს უკანასკნელ ოც მანათად გაიყიდა. მაგრამ ყველაფერი ეს ამაო იქნებოდა, რომ ერთი სხვა რამ არ შეჰსწევნოდა ამ საქმეს. მე ვამბობ კანონების ცოდნის გავრცელებაზე ხალხში და უჩასტკის უფროსის სასტიკ ყურადღებაზე, რომ გლეხს ვერა საქონელს ვერ უყიდიდნენ ვალში თუ არ აშკარად მომეტებულს. ეს, დრო და დრო გამოშვებით დაიარება თითო სოფელში და უხსნის რის უფლების პატრონნი არიან მცხოვრებნი შესახებ სოფლისა, მოვალეებისა და სახელმწიფოსი. როგორი დიდი გავლენა და კარგი შედეგი აქვს ამ გვარს მის მოღვაწეობას ცხადად დაინახავთ ერთ ამ გვარის მოგზაურობიდამ სოფ. ემურჯალოში (კახიდამ რვა ვერსზე იქნება).

მივედით ამ სოფელში და იქ დაგვხვდა ამავე სოფლის ჯამაათი. სხვა და სხვა საუბრებთა შორის, შესანიშნავნი იყვნენ ისინი, რომლებიც ეხებოდნენ შარიატს (უნდა იცოდეთ, რომ ემურჯალოში მხოლოდ თათრები ცხოვრობენ). ამ დროს მოიყვანეს ორი ობოლი 13-14 წლისანი. ერთს ამათგანს დარჩომოდა 300 მანეთის ქონება და 200 მანეთამდი ვალი; მეორეს კიდევ დარჩომოდა 200 მანეთის ქონება და 120 მანეთამდი ვალი. ამ ობლებს გარს შემოჰხვევოდნენ მასესხებელნიც. უჩასტკის უფროსმა ჰკითხა მოლებს და ხალხს: «რას ამბობს შარიატი ვალების გადახდის თაობაზედ ამ გვარ შემთხვევებში?» — მათ უპასუხეს, რომ შარიატით ამათის ქონებით ჯერ უნდა ვალი მოვიშოროთ და შემდეგ რაც დარჩება, ის ამ ობლებს მოვახმაროთ. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ძლიერ უსამართლო კანონმდებლობაა. ამიტომაც უთხრა ხალხს ნაიბმა: «ესენიც თქვენი სოფლის კაცები არიან. ეხლა თქვენ ართმევთ ამათ ყველაფერს და თვითონ ამათ კი ღვთის ამარაზე უშვებთ! ამათ კი ცხოვრება არ უნდათ? ესენიც დაიზდებიან: თუ თქვენ მათ ეხლავე წაართმევთ ვალებში ყველაფერს, რაც კი რამ აბადიათ, მაშინ, როცა დაიზდებიან, ვინ უნდა აძლიოს სახელმწიფო ხარჯი? ვინ უნდა ჰსწიოს ყოველი მოთხოვნილება სოფლისა, უჩასტკისა, ოკრუგისა და მთელის სახელმწიფოისა? რადგანაც თვითონ ამათ, უქონლობისა გამო, არ შაეძლებათ, ყოველისფრის ამაების გადახდა, ისევ ვინ უნდა გადიხადოს? რასაკვირველია თქვენ! რამდენად მომეტებული ღარიბი ძმები გეყოლებათ თქვენ, იმდენად ხომ უფრო მძიმე იქნება თქვენთვის ყოველივე ხარჯი! აბა ეხლა მითხარით — რა და რა ქონება აქვთ ამათ.» აქ გამოვიდა სოფლის მწერალი ქაღალდით ხელში და წაიკითხა: ბაღი, ბაღჩა, რამდენიმე დღიური მიწა, ერთი სახლი, ეზო, ერთი უღელა ხარ-კამბეჩი, ერთი ფური, ორი ხბო, ერთი სპილენძის ლულეინი, ორი კოკა, აჩაჩა, პური, ჩალტუკი (ბრინჯი) და სხვ. უბძანა ნაიბმა: «რუსის ხელმწიფის კანონით, სახელმწიფო მიწა, ბაღჩა, სახლი, ეზო თავის დღეში არავის არ შაუძლიან გაუყიდოს გლეხს; ერთი უღელა ხარ-კამბეჩიც არ გაიყიდებაო (რითი უნდა მოხნას მიწა, გავიდეს ბეგარაში, მაიტანოს შეშა, ჭიგო...); ერთი ფური არ გაიყიდებაო: პატარებს რძე უნდათ; სახლში ყოველთვის საჭიროა ერბო, ყველი; ორის ხბოდამ ერთი შაგიძლიანთ გაუყიდოთ. როცა საქმე მიდგა ლულეინზე (რომელსაც ლოცვის დროს ხმარობენ), უფროსმა უხუმარად უთხრა ამოტელა ჯამაათს: «ეს უნ-

და გაუყიდოთ? ის რაღა მუსულმანია, რომელსაც სახლში ღუღეინი არა აქვს! ამის შემდეგ თქვენ რაღა მუსულმანები იქნებით, თუ ამ ახლ-გაზდებს გაუყიდით ამ უსაჭიროესს ნივთს! ხომ იცით მუსულმანისთვის უსაჭიროესი ნივთი ღუღეინია და ამისათვის არ შეიძლება ამისი გაყიდვა და სხვ....

შემდეგ, როცა მორჩა — რის გაყიდვა შეიძლება, რის არა, უფროსმა ჰკითხა ხალხსა: ,,სრული სიმართლით ჰსთქვით, მიუბრუნდა იქით სადაც მომეტებული გროვა იყო და სადაც უფრო საწყლები იდგნენ: «როგორ ჰსჯობია: აგრე, როგორც ეხლა მე გადავჭერი საქმე, თუ ისე, როგორც შარიატი ამბობს?» უნდა გენახათ მკითხველნო, როგორის აღტაცებით და ერთ-ხმით დაიძახა ხალხმა—თქვენებურად ჰსჯობია, თქვენებურათო. არ იყვნენ კმაყოფილნი მხოლოდ მასესხებლები და მოლები. ეს უკანასკნელები იმიტომ, რომ შარიატით გადაწყვეტილ საქმეში, ამათაც კარგი წილი უდევს ხოლმე; ეხლა კი ეს მსუქანი ნაჭერი ხელიდამ ეცლებოდათ! მაგრამ რას იქმენ იქ, სადაც ხალხმა თვისის საკუთარის თვალით დაინახა უკეთესი კანონი, რომელიც უფრო ახლოა იმის ჭკუასთან, ვიდრე ის, რასაც ბძანებს შარიატი. უკანასკნელი სიტყვები ნაიბისა იყო: ეხლა ხომ კარგათ დაინახეთ ძალა რუსის მმართებლობისა (ჯარებისა) (ამით აგონებდა ელისუსთან მომხდარ შეტაკებაზე, სადაც ბევრი ლეკი დაიხოცა და ვერც ერთი რუსი,) გინდათ თუ არ გინდათ, თქვენ უნდა დაჰმორჩილდეთ ბედს, მაგრამ ყოველი ძალა კი უნდა გიხმაროთ, რომ გაიძვერები და მოღალატენი მართებლობის სამსახურისა, კეთილშობილებისა და სიმართლისა, ვეღარ ჰბედავდნენ თქვენის უკანასკნელის გროშის მოპარვას, აშკარათ თუ ფარულად. ჩვენ თავს ზეიდან ერთს ბეწვა ბეწვზე ჰკიდია ერთი საშინელი უზარმაზარი ქვა, რომელიც დღეს თუ ხვალ, წამ და უწუმ გვიქადის დაცემას და სრულიად დამხობას! მოდით ჩვენ ისე მოვიქცეთ, რომ ეს ქვა ავიცილოთ ჩვენის თავიდამ და გავისროთ იმათ, ვისაც ეგ ჩვენთვის დაუკიდნია! გავიღვიძოთ, შევისწავლოთ ჩვენი უფლებანი, რომლებსაც თვით კანონი გვანიჭებს, რომ ამის შემდეგ ყველა გაიძვერა და გაცვეთილი კაცი არ სარგებლობდეს თქვენის უცოდინარობით და უმეცრებით და არ გვცარცვავდეს თქვენ.» ხალხი ძლიერ მადლობელი დარჩა უფროსისა ამ გვარი სიტყვისთვის. ძალიან ძნელია, რომ ქრისტიან კაცს ეგრე აშკარად თანაუგრძნობდნენ მუსულმანნი.

ვანო.

---

სოფ. საგარეჯო, 16 მარტს („ივერიის" კორრესპონდ.) მარტის 5-ს რიცხვსა ამა წელსა, მოხდა საზოგადო ყრილობა, იორის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, რომელსაც შეადგენდა 150 კაცი. ყრილობამ განიხილა სხვა და სხვა საქმეები და წლიური ანგარიშები და აღმოჩნდა ნაწარმოები გამგე-კამიტეტისაგან კანონიერად, და ყრილობაც მადლობელი დარჩა. წესდების ძალით დაითხოვეს ორი გამგე კამიტეტის წევრი: ალექსანდრე ცხვედაძე და მღვდელი თევდორე გულისოვი, რადგან მათ შეასრულეს თავიანთი ვადა. და რასაკვირველია იმათ მაგიერათ უნდა ამოერჩიათ სხვები. ჰყარეს კენჭი იმათზედ და სხვებზედაც, მაგრამ რადგან ყრილობამ დაინახა მათი ერთგულება და ბეჯითათ მოკიდება საქმისა, ამისათვის ერთხმათ ამოირჩია ისევ წინანდელი გამგე კამიტეტის წევრნი, ესე იგი ალექსანდრე ცხვედაძე, მღვდელი თევდორე გულისოვი და აზარია დიაროვი. შემდეგ ზედამხედველის კამიტეტის წევრთა ამორჩევა მოახდინეს კენჭის ყრით, ზოგნი გამოცვალეს და ზოგნიც დარჩნენ წინანდელნი. საზოგადო ყრილობამ დაითხოვა ის ამხანაგები რომელნიც ჩაწერილან და ჯერეთ საწილო ფული არ შემოუტანიათ. ამასთანავე—გარდასწყვიტა: მიეცეს სესხი იმ წევრთ, რომელთაც წილის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, ერთი მანეთიდგან ვიდრე ორ თუმნამდინ, უთავდებოთ მხოლოდ საზოგადო ყრილობის თავდებობით. ეს იმ პატივ-სადების საბუთით მოხდა რომ გლეხს არ შეუძლიან ერთბაშათ მთელის წილის შემოტანა, ამისთვის უძნელდებოდა თავდების შოვნა და ფულის გატანა. გარდასწყვიტა ისიც რომ სრულის წილის პატრონმა გაიტანოს თავის წილის ხვედრი მოგება, და ვისაც წილი არ აქვს შესრულებული მოგება მიუმატოს თავის წილის ფულს, შარშან, ესე იგი, 1877 წელსა მოგება აღმოჩნდა 271 მან. 95 კაპ. მეათედი ნაწილი ამ მოგებისა გადასდო სათადარიგო თანხად. შემდეგ სხვა და სხვა საქმეების განხილვისა ყრილობამ შენიშნა ერთგულობა,

ბეჯითათ მოკიდება და უმეტესი შრომა გამგე კამიტეტის წევრისა ალექსანდრე ცხვედაძისა და გარდასწყვიტა ერთ ხმათ მიეცეს საჩუქრად წმინდა მოგებიდან 61 მან. და 92 კაპ.

ნიკოლოზ ქურდოვანიძე.

---

**კახეთი** 27 მარტს. მარტის პირველს რიცხვებში თბილი ტაროსი იდგა კახეთში. ამ თბილმა ისე აგრძნობინა მცენარეებს, რომ კოკორი გამოატანინა, და როგორც უნდა გაშლილიყო თუ არა ასტყდა ქარი, რომელმაც გასტანა ორი-სამი დღე და შეაყენა ხეხილების აღყვავება და თვით ვაზიც შეაშინა; ასე რომ ამ უკანასკნელს მზად დახვეული გასაშლელად კვირტი, არ გააშლევინა. თუ რომ ხეხილები აღყვავებულიყვნენ და ვაზს კვირტი გამოეტანა და შემდეგ თოვლს, რომელიც ქარების შემდეგ მოვიდა, მოესწრო, თქვენი მტერი, როგორც ჩვენი ხეხილები გაოხრდებოდა! თოვლი ცოტა მოვიდა და კაი დროსაც, თორემ კვირტის გამოტანის შემდეგ რომ მოსულიყო და „მოეწმინდა“ კიდეც,—უეჭველად გააყრევინებდა. თუმცა კიდევ გამოიტანდა კვირტსა, მაგრამ იგეთს ნაყოფიერს კი არა—როგორიც არის «პირველი....» თოვლის შემდეგ თბილი დღეები დადგა. ამ ხელახლად თბილის დღეების დადგომა და ხეხილების აღყვავება ერთი იყო: ბაღჩებს სულ თეთრ-წითელი ფერი დაედო—22 მარტს კახეთის არე-მარეს გადაეკრა წვიმით სავსე ღრუბელი. 22—27 მარტის განმავლობაში სულ გადაუღებლად მოდის კახეთში გაზაფხულის ჩუმი ჟუჟუნა წვიმა. ისე ჩუმად მოდის წვიმა და ალბობს მიწასა, რომ ფოთოლი რა არის, ფოთოლიც არ იძრევა ნიავისაგან. ჩვენს გლეხობას იმედი აქვს, რომ წრეულს არა ნაკლებ შარშანდელისა მოუვათ პური. მშვენიერი სანახავია ახლა ალაზნის ველი: ისე ნაირად არის გამწვანებული მშვენიერის ჯეჯილებითა, რომ მტერი რა არის, მტერსაც კი ეამება მათი დახედვა!...

თუ კახეთის ჭირნახულს ორჯერ კიდევ მაინც ეღირსა იგეთი დროგამოშვებითი წვიმა, როგორც ეხლა, იმედია, რომ კახეთში უხვად მოვა საპურე მცენარეები. ყველა ამბობს, რომ ამ წვიმების შემდეგ, რამწამ გამოიდარებს და მზე თავის ბრწყინვალე სხივებს მოჰფენს კახეთის არე-მარეს, მთელი ტყე-მინდორი გაიშლებაო. (საძოვარი ბალახი ეხლაც არის ბევრგან კახეთში). მართალიც არის: ტყეს ეგრე აქვს კოკორი გამოტანილი, რომ მზის დახედვის მეტი არა უნდა რა; იგრძნობს თუ არა მზის სიცხოველეს,—კოკორი ნეკერად გარდაიქცევა....

X

როგორც მოგეხსენებათ, გაზაფხულზედ მდინარეები მოიმატებენ ხოლმე; მეტადრე იმისთანა მთიან მხარეებში, როგორიც არის კახეთი. კახეთს გარეშემო მაღალი უმთავრესი კავკასიის მთა-გრეხილი აქვს გარეშემორტყმული. ამ მთა-გრეხილის თავები (სიმაღლეები) თითქმის მთელის წლის განმავლობაში თეთრათ არიან შემოსილნი თოვლით. თელავიდამ (ნადიკვრიდამ) რომ გაჰხედოს კაცმა იმ მთა-გრეხილს და თვალი გააყოლოს დასავლეთიდამ აღმოსავლეთისკენ, თუ წაუკითხავს ქართული ლექსი „ელეგია“, მაშინვე ეს სიტყვები მოაგონდება:

«მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდს სივრცეში დაინთქმებოდა...»

ვისაც წაუკითხავს ლექსი „ელეგია,“ ყოფილა თელავში და გადაუხედნია ნადიკვრიდამ (თელავის აღმოსავლეთის ნაწილია), დამეთანხმება, რომ ამ ლექსის მთქმელი აქა მდგარა და აქედამ აუწერია კახეთის ბუნება ბინდისას.... ჰო, წყლები ადიდდნენ მეთქი. ჯერ ერთი, რომ თოვლი დნება და იმისი წყალი ემატება მდინარეებს, რომელთა შორის უმთავრესნი არიან: დავყვებით დასავლეთის მხრიდამ, თიანეთის საზღვრიდამ,—მდ. ილტო ს. მატანში; მ. ტორი ანუ სტორი ს. ფშაველში; მ. ლოპოტა სს. სანიორეს და ნაფარეულის შუა; მ. ინწობა, ს. ალმატის, საბუის, გრემის და ენისელის შუა; მ. ჩელთი, ს. შილდაში; მ. დურუჯი, ს. ყვარელში; მ. ავანისხევი ს. ბეჟანიანში და სხვები... თვითეული ეს მდინარე რაც უნდა დაპატარავდეს, სიცხეების ანუ გვალვის გამო, კიდევ იმდვენი წყლიანია, რომ სამს წისქვილის თვალს მაინც დააბრუნებს. ყველა ამ მდინარეებს უმთავრესის კავკასიის მთების ღელეებში, რომლებშიაც ჩამოწვება ხოლმე ზვავები და იკრიბებიან თოვლის წყლები, აქვთ სათავეები. რასაკვირველია, რომ რაც თოვლი დნება კახეთის მხარე მთების ქედებზე, სულ ხსენებულს მდინარეებს ერთვიან და შემდეგ თვით მდინარეები—ალაზანს. ჯერ თოვლის წყალმა და ახლა ამ

წვიმებმა კარგა ლაზათიანად აადიდეს ალაზანი, ასე რომ ცხენით გასვლა საშიშია. ალაზანზე თელავის მაზრაში მხოლოდ ერთი ხიდია, თელავის პირ-და პირ, ს. შაქრიანის ბოლოს. ამისათვის სხვა ადგილებში ფონზე გადიან, სადაც ხშირად ბევრი უბედურება მოხდება ხოლმე, და ხან ნავებით, როგორც მაგალ. გავაზის ბოლოს; მაგრამ არც ნავია უხიფათო...

ჩამოთვლილი მდინარეები ხანდისხან დიდს ზარალს მისცემენ ხოლმე მცხოვრებლებს. ამ მდინარეების სარგებლობაზე და ზარალზე ცალკე წერილში გვექნება ბაასი....

X

კახეთში სრული მშვიდობიანობაა: ლეკებისა არაფერი ისმის; ავად-მყოფობა არაფერია. თუმცა ამას წინად პური ძვირი იყო—კოდი სამი მანეთი და მეტიც, მგონი; მაგრამ ეხლა ორი მანეთი—თერთმეტი აბაზია. ღვინო ძვირია....

X

ზოგიერთმა პატივცემულმა პირმა დამარწმუნა, რომ ს. კონდოლის ახლად გახსნილს შკოლაში კარგად მიდის საქმეო, ამ ჟამად თურმე შკოლაში ოცი უმაწვილია (ვაჟი) და ერთი ქალი. გლეხებს თურმე 5—6 წლის უმაწვილებიც კი მიჰყავთ შკოლაში მისაღებად. თვით მასწავლებელიც შკოლისა, კეთილ-გონივრულად ექცევა, როგორც შკოლის საქმეს, აგრეთვე გლეხებსაც, რომელნიც თავის მხრითაც „კარგის" თვალით უყურებენ მასწავლებელს და თვით შკოლასაც. რასაკვირველია, რომ თუ ამისთანა კეთილ-გონიერი მასწავლებელი ეყოლა სოფლის შკოლას, როგორიც, როგორც სჩანს, ს. კონდოლშია, საქმე კარგად წავა ჩვენს სასოფლო შკოლებში. ზოგიერთი აქაური მასწავლებელი ხალხშიაც არ გამოდის, „რა ჩემი საქმეა, სხვანაირად მიიღებენო," და აბა ერთი მითხარით, როგორ უნდა გაიგოს ჩვენის ხალხის ყოფაცხოვრება, ხასიათი, ნაკლულევანება, საჭიროება? თუ კაცმა არ იცის ასო, რომელიცა სტკივა ჩვენს ხალხსა, წამალი როგორ უნდა მისცეს?! ამისათვის ხშირად მოხდება, რომ სოფელსა და მასწავლებლის შუა უთანხმოება ჰსუფევს... სს. კისისხევში და რუისპირში შკოლები მომზადებულია და მასწავლებლებს მოელიან.... ზოგი შემდეგში...

ქართველი.

---

კახიდამ. ამას წინეთ ვაცნობე მკითხველს, რომ ალიბეგლოს და ყორაღნის მღვდლებმა ივისრეს, 13 თებერვლის კრებაზე,—შეკრიბონ ათი-ხუთმეტი სოფლის ბიჭები და ასწავლონ მათ ქართული წერა-კითხვა. ერთი კვირის შემდეგ, ჩვენ მოგვიხდა ნახვა ამ ნაკისრულის მოვალეობის სისრულეში მოყვანისა. ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ ალიბეგლოში 12 შაგირდი და ყოროღანში 13; ამ შეგირდებს ამ მცირე ხანის განმავლობაშიაც დაჰსტყობიათ სწავლა. უმაწვილები რასაც ვკითხავდით, თამამად პასუხს გვიგებდნენ; ყოჩაღად წაგვიკითხეს ორიოდე ქართული ლექსი, როსტომაშვილის არითმეტიკულ გამოცანებსაც კარგათ ჰსცნობდნენ ათამდის... საფუძველი დადებულია. იმედი გვაქვს ჩვენც და ხალხსაც, რომ ეს პატარა დაწყობა, დიდ საქმედ, კარგად, წესიერად გამართულ შკოლად გარდაიქცევა. ჯერ-ჯერობით ხალხი ძლიერ თანაუგრძნობს ამ საქმეს. ამ შკოლებს პირველი შემწეობაც აღმოჩენილი აქვს. უფ. ზაქათლის ოკრუგის უფროსმა სერაფიმოვიჩმა, თვის კახში მოსვლის დროს, აჩუქა კახის შკოლას 40 მანეთი სხვა და სხვა საჭიროებისათვის და ალიბეგლოს და ყორაღნის შკოლებსაც თვითოს ოც-ოც-და-ხუთი მანეთი...

აქ არ შემიძლიან ერთი ჭაზრი არ წარმოვსთქვა, რომლისადმა ყურადღებას ვთხოვ უფ. ზაქათლის მაზრის უფროსს, რადგანაც მას ადვილად და ხალხის შაუწუხებლად შაუძლიან ეს საქმე სისრულეში მოიყვანოს.—გლეხის ხალხისთვის ძლიერ საჭიროა, რომ მის სოფელში ნასწავლ უმაწვილთაგან ზოგიერთი იგზავნებოდნენ სხვა მაღალ სასწავლებლებში, თუ მართლა ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ გლეხს სწავლის საჭიროება და სარგებლობა. მაგრამ ვისის ფულებით უნდა გაიგზავნენ? შკოლებში აქ ერთად ერთი სახსარია: ზაქათლის მაზრაში არის სამი დიდი ინგილოს სოფელი—კახი, ალიბეგლო და ყორაღანი. ჩვენ ვიცით, რომ ამ სამივე სოფელში პირველ-დაწყებითი სწავლაც არის. ამ სამივე სოფელში იქნება 500-მდე კომლი. თითო კომლმა რომ გამოიღოს თითო მანეთი ფული ყოველ წელს, შაიკრიფება 500 მანეთამდე, რომლითაც ჩვენ შაგვეძლება გავზარდოთ სამიოდე უმაწვილი სხვა უმაღლეს შკოლებში და ცოტა წილიც სათანხოთ გადავსდვათ ხოლმე. თუ მთელ საქართველოს მრავალ კუთხეებში, სადაც ხალხი ათჯერ უფრო ღარიბია, ვიდრე აქ საინგილოში, იხდიან

ცალკე ფულს შკოლისათვის, რატომ აქაც ეს წესი არ შემოვიღოთ? თორემ, ესლაც რვაოდე ნასწავლი და ნიჭიერი ყმაწვილია, კახის შკოლიდამ, რომელთაც გულით და სულით სურთ სწავლის გაგრძელება, მაგრამ უნაყოფოთ იკარგებიან თვისის ქვეყნისათვის, რადგანაც გამგზავნელი და შეძლება არსად არის! დრო არის ამ საქმეზე კარგათ მოვიფიქროთ, რომ ესლავე მკვიდრი საფუძველი მივცეთ ინგილოს ხალხის აღზრდას! რომ ამ გვარი წინმხედველობა მეტი არ იქნება, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი: ზევითა ვსთქვი, რომ კახში არიან ზოგიერთი ყმაწვილები, რომელთაც გულით და სულით სურთ სწავლის გაგრძელება, მაგრამ რადგანაც მშველელი არსად არის, ვერა გზით ვერ უშველიათ თავიანთ თავისთვის! ერთმა ამათგანმა, რომ ბევრის მეცადინეობის შემდეგ ვერა გზით ვერ მოახერხა გაგზავნილი იქმნას სხვა უმაღლეს სასწავლებელში, დაჰკრა ფეხი და ვინ იცის საით წავიდა თვისის ბედის ანუ უბედობის საძებნელად! ნუ შევუშინდებით იმ ფიქრს, ვითომ იმ გვარის სახსარით, რა სახსარზედაც მე ზევით ვათითებდი, ხალხს რაიმე შეწუხება მიადგება.

ვანო.

16 მარტს 1878 წ.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**ინგლისი.** გარეშე საქმეთა ახალმა მინისტრმა სოლსბერიმ, რომელიც დერბის მოადგილედ დაინიშნა, ყველა სახელმწიფოებს გაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ცოტად თუ ბევრად ცხადად არის გამოყვანილი როგორც ინგლისის მთავრობის აზრი სან-სტეფანის შერიგებაზედ ისე მისი პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმის შესახებ. სოლსბერის სიტყვით, სან-სტეფანოს შერიგება იმ გვარად არის მომართული, რომ მძლავრი სახელმწიფო სლავიანებისა ბოლგარია რუსეთის მფარველობის ქვეშ იქმნებაო და გარდა ამისა რუსეთი იპყრობსო შავ-ზღვაში და არხიპელაგში შესანიშნავ ნავსადგურებსო. ამის გამო ამ ზღვებში რუსეთს ექმნება უპირატესობაო. ახალი მოწყობილობის ძალით ბოლგარია ექვემდებარება გუბერნატორს, რომელიც ნამდვილად რუსის მთავრობის მიერ იქმნება დაყენებულიო. იგივე მთავრობა ამოქმედებსო მთელს ბოლგარიის მმართებლობასაო. მაშ ადვილად წარმოსადგენია თუ რა საპოლიტიკო საქმე მოელის ახალს სახელმწიფოსაო. გარდა ამისა სოლსბერი იხსენიებს კიდევ შერიგების იმ მუხლებს, რომელნიც შეეხებიან თესსალიას და ეპირს, და რომელთა ძალით ოსმალეთი მოვალეა მართლ-მადიდებელთ შეუწყოს ხელი. ამ მუხლების ძალით რუსეთს ეძლევაო უპირატესობა იმ ქვეყნებში, სადაც უმეტესად ბერძნები ცხოვრობენ, და ამით მცირდებაო საბერძნეთის უფლება. ბესსარაბია, ბათუმი და სხვ. აგრეთვე აძლევენო რუსეთს უპირატესობას შავ-ზღვაში. რუსეთს შეეძლებაო რა დროსაც უნდა შეჰკრას ევროპისა და სპარსეთის შორის ვაჭრობა, რომელიც ტრაპიზონის გზაზედ სწარმოებს. მარკიზი სოლსბერი ამბობს, რომ სტამბოლის კონფერენციამ ვერა გაარიგა რაო ოსმალეთის წინააღმდეგობის გამო. ის განზრახვაო, რომელიც სტამბოლის კონფერენციას ჰქონდაო, ესლაც ვერ აღსრულდებოდნენო თუ იგივე სახსარი იქმნა ხმარებულიო. ოსმალეთის შესახებ ოქმებში რასაკვირველია დიდი ცვლილება უნდა მოხდესო; ინგლისს ყოველთვის განზრახვად ჰქონდაო ხეირიანის მმართველობის დადგენა ოსმალეთში და მისის მაზრების თავისუფლება. ინგლისი დიდის ხალისით მიიღებდა მონაწილეობასაო იმ კონგრესში, რომელიც ამ საქმეს მთლად განიხილავსო. მაგრამ იმ კონგრესში, რომელიც ესლა არის წამოყენებულიო და რომლის მოღვაწეობას თ. გარჩაკოვი სამზღვარს უდებსო, ადგილი არა აქვსო არც ინგლისის ინტერესს (სარგებლობას) არც იმ მაზრებთა კეთილ-მდგომარეობასაო.

ამ დეპეშის პასუხად თ. გორჩაკოვს გაუგზავნია თავის გნით დეპეშა, რომელშიაც მოხსენებულია შემდეგი: ტყუილიაო, ამბობს გარჩაკოვი, ვითომ სან-სტეფანოს შერიგება აარსებს მძლავრს სასლავიანო სახელმწიფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ. შერიგების პირობებში ბოლგარიის შესახებ განვითარებულიაო მხოლოდ ის დედა აზრი, რომელიც სტამბოლის კონფერენციის მიერ იყო აღიარებულიო. ბოლგარია სრულიადაც არ იქმნებაო რუსეთის მფარველობის ქვეშ. ომიანობამ რუსეთს მხოლოდ ერთი ნამდვილი სარგებლობა მოუტანაო—ბათუმი,—იმ ომიანობამ, რომელიც რუსეთმა მარტოდ მარტომ გასწიაო და რომელიც ისე ძვირად დაუჯდაო. ამისგამო რუსეთი არამც თუ მუქთად არ იძენს ბათუმს, არამედ რუსეთს აქვსო უფლება უფრო უმეტესი საფასური

დაადვას ოსმალეთისაო. სომხეთს რუსეთისათვის მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა აქვსო. იქმნება ინგლისისათვის უფრო საჭირო იყოსო, რომ ეს ადგილები (სომხეთში) ოსმალეთს შერჩეთ, მაგრამ იმავე საბუთით რუსეთს უჭირსო მათი დაპყრობა თავის საკუთარის მშვიდობიანობისათვისაო და იმისთვისაო, რომ რუსეთს ყოველ ომიანობაში არ დასჭირდეს მათი იერიშით აღება, როგორც მაგალითებრ ყარსისა, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში სამჯერ იყო აღებული რუსეთის მიერ. ამ ადგილების დათმობა აუცილებელი შედეგიაო ომიანობისა. თუ რომ ინგლისს ამ შედეგის აცილება ნდომოდაო ოსმალეთისათვის, რუსეთს მიუდგებოდაო და თავის ხომალდებით ძალასაც დაატანდაო ოსმალეთს და ეს საშინელი სისხლის ღვრაც აცილებული იქმნებოდაო. მაგრამ ინგლისმა არ ინდომაო და ეხლა რუსეთს, რომელმაც ამოდენა სისხლი დაღვარა, სრული უფლება აქვსო დაადგინოს იმ გვარი მოწყობილობაო, რომელიც თუ არ აიცილებს მას შემდეგში ამოდენა მსხვერპლს, შეამცირებს მაინც.

— ერთს ნემეცურს გაზეთს ვენელი კორრესპონდენტი სწერს: „ინგლისმა აშკარად გამოაცხადა თავისი მხედველობა: რადგანაც სან-სტეფანოს შერიგება მავნებელია ინგლისისათვის და რადგანაც მხოლოდ კონგრესს შეუძლიან მშვიდობიანად შესცვალოს შერიგების პირობები, ამის გამოისობით თუ რუსეთი ამ შერიგებას მთლად არ წარუდგენს კონგრესს, ან სხვაფრივ არ შესცვლის მას, ინგლისი იძულებულ იქმნება დაიჭიროს ოსმალეთის ის ადგილები, რომელნიც საკმაო მიზეზნი იქმნებიან რუსეთის გავლენის შემცირებისათვის. ავსტრია თანაუგრძნობს ინგლისს, თუმცა მათი მოღვაწეობა რუსეთის შესახებ საერთო არ არის. ავსტრიამაც ცხადად გამოუცხადა რუსეთს, რომ სან-სტეფანოს შერიგებას ვერ მივიღებთო“.

---

**გერმანია.** ბისმარკს უთქვამს თურმე, რომ გერმანია მხოლოდ მაშინ მიღებს მონაწილეობას კონგრესში, თუ ინგლისიც გაგზავნის თავის წარმომადგენელსაო. ეს გარემოება იმას კი არ ნიშნავსო, ამბობს გაზეთი „National Zeitung,“ ვითომ გერმანია ინგლისის მხარს იჭერსო აღმოსავლეთის საქმის შესახებ. გერმანია მხოლოდ იმ აზრისა არისო, რომ აღმოსავლეთის საქმის საბოლოვო გარდაწყვეტა უინგლისოდ შეუძლებელიაო, რადგანაც აღმოსავლეთის საქმეში უმეტესად ინგლისია გარეული. ავსტრიის სარგებლობა უფრო მჭიდროდ დაერთვისო გერმანიას, ვიდრე ინგლისისაო.

ეს ყველა კარგი, მაგრამ მაშინ რაღასა იქმს გერმანია თუ ავსტრია და ინგლისი სრულიად მორიგდნენ ერთი-ერთმანეთში, თუ საერთო პოლიტიკას დაადგნენ რუსეთის შესახებ? მაშინ რომელს ერთს დაართავს გერმანია თვის სარგებლობას? ამის პასუხი ამ ჟამად რასაკვირველია ძნელია. მაგრამ ზოგიერთი გარემოება კი ცოტად თუ ბევრად სინათლეს სდებს გერმანიის პოლიტიკას. გერმანიასაც, —ეჭვი არ არის,——ვერაფრად მოსწონს რუსეთის მიერ დამყარებული შერიგების პირობები. მაგრამ პირ-და-პირი წინააღმდეგობა ვერ გამოუჩენია, რადგანაც ეშინიან რუსეთის მეგობრობის დაკარგვა, იმ მეგობრობისა, რომელსაც დიდი ადგილი უპყრია გერმანიის ძლიერებაში ევროპის წინაშე და რომლის გაუქმება ხეირს არ უქადის გერმანიას შემდეგში. მეორეს მხრით წინ უდგა საფრანგეთი, რომლის საზოგადოება, რამდენადაც მისი აზრი ჟურნალ-გაზეთობაში იხატება, ვერაფერი თანაგრძნობას უღვივის რუსეთის სახელმწიფოსადმი. თუ ვინიცობაა ომიანობა ასტყდა ერთის მხრით რუს-გერმანიისა და მეორე მხრით საფრანგეთ-ინგლის-ავსტრიის შორის ძნელი გამოსაცნობია თუ ვის დარჩება გამარჯვება. გარდა ყველა ამისა დაუგდოთ ყური რას ამბობს ერთი ნემეცური გაზეთი, რომელიც ძალიან დაახლოვებულია ბისმარკთან: «სან-სტეფანოს შერიგების პირობები არავითარ ვნებას არ უქადიან საკუთრივ გერმანიის სარგებლობას. გერმანიას შეუძლიან ისურვოს რუსეთისათვის გამარჯვება და მისის სარგებლობის დაცვა აღმოსავლეთით. მაგრამ რადგანაც გერმანიას ჰსურს მშვიდობიანობა არამც თუ მარტო თავისათვის, არამედ ევროპიის სხვა სახელმწიფოთათვისაც, მისთვის (გერმანიისთვის) სულ ერთი არ არის მოურიგდება რუსეთი სხვა აგრეთვე გერმანიის მეგობარ სახელმწიფოებს თუ არა. ჩვენ გვეგონა, რომ რუსეთის წარმომადგენელთ სან-სტეფანოში კარგად იცოდნენ თუ რას დაუთმობდნენ ის სახელმწიფონი, რომელნიც ჩართულნი არიან აღმოსავლეთის საქმეში. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, შევცდით. ეხლა შეიძლება ვთქვათ, რომ შერიგების ყველა პირობების აღსრულება შესაძლებელია რუსეთისათვის მხოლოდ ახა-

ლის ომიანობის შემდეგ, რომელიც უფრო დიდი და უფრო საშიში იქმნება ვიდრე ეხლა ხან გათავებული. განა არ შეიძლებოდა ამ მდგომარეობის თავიდამ აცილება სხვა და სხვა წინადვე ხმარებულ სახსარით და უფრო ზომიერ მოთხოვნილებით? განა არ შეეძლო რუსის დიპლომატიას ისევ ომიანობის დროს კარგად შეეტყო თვითოეულის სახელმწიფოს აზრი იმ შეძლების შესახებ, რომელიც უეჭველად უნდა მოჰყოლოდა ოსმალეთის დამარცხებას? მეორის მხრით ყველასთვის უფრო სასარგებლო იქმნებოდა ავსტრი-ვენგრიას რომ რამდენიმე თვის წინად, პლევნის აღების შემდეგ, გამოეცხადებინა თავისი პირობები და სურვილი. მაშინ საქმის დაბოლოვებას არ დაუხვდებოდა ის უშველებელი სიძნელე, რომელიც ეხლა არის წამომდგარი. სიძნელე და დაბრკოლება ინგლისისა და ავსტრიის მოთხოვნილებაში კი არ არსებობს, არამედ იმაშია, რომ ეხლა რუსეთი ხელ-ფეხ შეკრულია საქვეყნოდ გამოცხადებულის შერიგებით. ინგლისი და ავსტრია, როგორც რუსეთი, დარწმუნებულნი არიან, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ ცვლილება უნდა მოხდეს: ამ მხრით არავითარი განხეთქილება არ სუფევს ამ სამ სახელმწიფოთა შორის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ წინადვე არ მორიგდნენ ერთმანეთში თუ რა გზით უნდა მიაღწიონ ერთსა და იმავე საგანს.“

—

ნემეცურს გაზეთს Politische Correspondenz ს ტფილისიდამ სწერენ: „როგორცა სჩანს, სპარსეთის პრინცის ბაჰმუტის აქ მოსვლა პოლიტიკის შესახებია. იმ პირთა სიტყვით, რომელთაც ნამდვილი ამბები იციან, სპარსეთის ამ განსაკუთრებულს დესპანს და დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მოლაპარაკება ჰქონიათ რუს-სპარსეთის ზავის თაობაზედ, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქმნეს მხოლოდ ზოგიერთა გარემოების შემდეგ. როგორც ეტყობა პეტერბურღში განზრახვა აქვთ მჭიდროდ შეაკავშირონ რუსეთი და შუა აზიის მაჰმადიანნი სახელმწიფონი და მით ფეხი მოსჭრან ინგლისის მოთხოვნილებას ევროპაში. როგორც ისმის სპარსეთი 40,000 ჯარის კაცს დაჰპირებია რუსეთს თუ ომი აუტყდა ინგლისთან. მართალია სპარსეთის ჯარი უხეიროა, მაგრამ როგორც ისმის, ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ ეს ჯარი კარგ ფეხზედ დააყენონ. ის თოფები, რომელნიც ოსმალებს წაართვეს და რომელნიც რუსის ბერდანკებზედ უმჯობესნი არიან, გადააქვთ ერევანში საიდგანაც თეჰერანში უნდა იქმნენ გადატანილნი. ამბობენ კიდევ, რომ რუსის აფიცრები მაჰმადიანის სარწმუნოებისა, რომელნიც უფრო სანდო და გამოცდილნი არიან, გაგზავნილნი იქმნებიან სპარსეთის ჯარისათვის.“

## სიმღერა.

არც სახლი მაქვს, არც კარი,
ვარ შრომის ანაბარად;
ზეცა და მთა და ბარი
მიმაჩნია სახლ-კარად.

—

ქალბის ფულით სიმდიდრეს
გულში არ გავიტარებ,
რასაც შრომით მოვიგებ
იმითი გავიხარებ.

—

როცა მაქვს ლუკმა პური
და ზედ წითელი ღვინო,
მაშინ ვით გასძღოს გულმან,
რომ მეტი არ მოვილხინო.

—

ბრიყვი მდიდარი კაცი,
მუდამ ფულებზედ ზრუნავს;
შიშობს, ვითა დიაცი,
მღვიძარეა თუ სძინავს.

—

მე კი მუდამა ვხარობ,
გულითა ბედნიერით;
დავდივარ ქუჩებს ვამკობ
ჩემის ტკბილის სიმღერით.

—

დავდივარ და ვიმღერი,
ქარი ზანს მეუბნება...
ჩამოდექით, მდიდრებო,
ღარიბი მობრძანდება!..

სოსიკო ოქრიაშვილი.

1878 წ.

## სისხლის მოჩვენებაზე.

(ნაამბობი კატრელისა)

### I

თავ-მჯდომარე. ბრალდებულო, გაქვთ რამე სათქმელი თქვენის თავის გამართლებლად?

ბრალდებული. ღმერთმა დამიფაროს, ბატონო თავ-მჯდომარევ, თავი ვიმართლო. ღმერთმა დამიფაროს ვჰსთქვა ისეთი რამ, რომ მით გავიადვილო თქვენი სასჯელი, ან განაჩენი თქვენი შევაფერხო. ღმერთმა დამიფაროს! ღმერთმა აბედნიეროს ჩემი ადვოკატი ყოველ იმისთვის, რაც აქ ჩემზედ წარმოჰსთქვა. მე იმისი დიდად მადლობელი ვარ. განა არა, მე როცა ვირჩევდი მაგას ჩემს ადვოკატად, ძალიან კარგად ვიცოდი ვისაც ვირჩევ. მაგან არამც თუ ის ბრალი დამდო რის იმედიც მქონდა, გადააჭარბა კიდეც. მე რომ თქვენს თვალებში შემემჩნივა თუნდ ერთი ბეწო სიბრალული ჩემდამი, მაშინვე ათასნაირს დანაშაულობას მოვიგონებდი და ტყუილად დავიბრალებდი. მაგრამ ეხლა ეგ მეტია: ტყუილად ბრალის თავზედ აღება საჭირო აღარ არის. თქვენ, ბატონო მსაჯულნო, ხომ ვიცი რაცა გნებავთ! თქვენ გნებავთ ერთი იმისთანა კარგი, იმისთანა დარბაისლური ცხადი, უცილო განაჩენი, რომელმაც უნდა ააყბედოს გაზეთები და რომლის გამოც თქვენ არც ძილი უნდა დაგეფთხოთ და არ კუჭი მოგეშალოთ. ამის მეტი სხვა ხომ არა გინდათ რა! მაშ კარგი და პატიოსანი! მე რაც უნდა იყოს სიკვდილი მსურს. მაშასადამე თქვენცა ხედავთ, რომ ჩვენ შორის სადავიდარაბო და საცილო არა არის რა....

მაინც და მაინც კი საოცარი საქმეა თუ თქვენც იტყვით. მე, რომელსაც ასე მომწყურებია დროით საიქიოს წაბძანება და რომელმაც ასე მარჯვეთ ვიცი დანის ხმარება, ერთი მკითხეთ, რატომ აქამდის თავი ვერ მოვიკალი?!.. დიახ, საოცარი საქმეა ეს საქმე... ბევრჯერ ვცადე, ბატონებო, მაგრამ ვერ შევძელ. თავს ზარი მეცემოდა ხოლმე. ამ გვარი შიში ჯერ მაშინ ჩამინერგა დედა ჩემმა, როცა პაწაწა ვიყავ და მასაქედ გულიდამ ველარ მოშიშორებია. რას იზამ? მე მწამს საიქიო ცხოვრება... თქვენ რასაკვირველია, ჰფიქრობთ, რომ ყოველს მასში, რასაც ეხლა აქ ვროშავ, მე, ერთი იოტის ოდენა არც ჭკუაა და არც მრთელი მსჯელობა. ეგ მე კი არვიცი! რა ახალი ამბავი გამოგიცვნიათ! ბატონებო, მე რომ ჭკუა და გონება მქონოდა, განა აქ ამ დამნაშავეთა სკამზედ ვიჯდებოდი! აი სწორედ იმის გამო, რომ ჩემს ტვინში და გულში ყოველისფერი არევ-დარეულია, ერთი მეორეს ებრძვის, ეკამათება, ეჭიდება, გარედ იწევს,—აი სწორედ ამის გამო მხედავთ ეხლა თქვენს წინაშე წარმომდგარსა, რათა წარმოჰსთქვათ: „სიკვდილი ამას!“

თქვენს შემდეგ მე განმიკითხავს და განმასამართლებს კიდე ღმერთი და, ნუ გეწყინებათ კი, იმისის განაჩენის ფიქრი უფრო მაქვს, უფრო მაწუხებს, ვიდრე თქვენის განაჩენისა,—იმიტომ-რომ იქ ვიდრე მჯავრს დაადგენენ, დაფიქრდებიან და ძალიანაც დაფიქრდებიან.... აქ კი... აი ხომ ნახეთ ბრალმდებელმა (პროკურორმა) თქვენს წინაშე რა არ დამარქვა, რა კაცად არ გამომიყვანა: ეს კაციო წრეს გასულიაო, გატაცებულიაო, იშვიათი და საოცარი სულდგმულიაო და სხვა ათასი ამისთანა... რა სახელები არ დამარქვა!.. მართალია, კაცთა მკვლელი სწავლული, კანდიდატი, მაგისტრი და სხვა ამ გვარი—საოცარი რამ უნდა იყოს და ამისთანას მხეცს კაცი ყოველდღე ვერ შეხვდება! მაგისთანა კაცის თავის მოჭრა თვალხუჭანობით არ უნდა მოხდეს, კაკლის დაბღერტა ხომ არ არის. აქ მოლაპარაკება უნდა, მოფიქრება უნდა... მე რომ მხეცი ვარ ეგ დავამტკიცე კიდეც, მაგრამ მე ყოველთვის კი მყვარებია პოეზია...

თავ-მჯდომარე. რასაც ამბობთ,—ეგ საქმეს არ შეეხება, თქვენს საკეთილოდვე გთხოვთ საქმის შესახებ ილაპარაკოთ.

ბრალდებული. ნება თქვენი იყოს. მე თქვენზედ ნაკლებ არა მსურს ჩემს საქმეს მალე მოეღოს ბოლო. აი რაშია საქმე.

### II

მე დავიბადე ვიეველში. კარგი და მშვენიერი ადგალია და მგონია ჩემით თავს ვერ ქადულობდეს. მას შემდეგ ორმოც-და-სამმა წელიწადმა გან-

ვლო,—ორმოც-და-სამმა დაუსრულებელმა წელიწადმა... მე ისე ბებრად ვგრძნობ ჩემს თავს, ისე დაღალული და ქანც-გაწყვეტილი ვარ, თითქო ასის წლისა ვიყო. მაგრამ მაინც ხსოვნა არ მღალატობს: მე ისე ცხოვლად მახსოვს ჩემი ყრმობა თითქო გუშინდელი დღეაო.

მამა ჩემი კაი შეძლებული კაცი იყო და ჰსცხოვრებდა საკუთარს სახლში სასამართლოს სიახლოვეს. სახლი პატარა იყო, ორ-სართულიანი, წითელის კრამიტით გადახურული და შუა წელამდინ ვარდის ფუჩქებით მორთული. შესავლის ორივე მხარეს თითო სკამი იდგა; ფანჯრებზედ ფარდები ჰქონდა; ღამის ცხრა საათზედ ფარდებს ჩამოუშვებდნენ ხოლმე, და დილის ექვს საათზედ აჰკეცდნენ. ამ დროს დგებოდნენ ხოლმე ის კეთილნი და პატიოსანნი გვამნი, რომელნიც იმ სახლში ჰსცხოვრებდნენ. იტყოდით კეთილ მოქმედთა სულთა ნამდვილი ბუდე ეს არისო....მართალიც არის: ყური რომ დაგიგდოთ რასაც ლაპარაკობდნენ მეზობლები ჩემს დედ-მამაზედ, იფიქრებდით ერთ გამოჩენილ წმინდანებზედ ვისმეზედ ლაპარაკობენო.

ჩვენს პირ-და-პირ ბიძია კრისტოფალის საყასპო დუქანი იყო—ისეთი ფაქიზი, კარგი, მორთული რომ გაგიკვირდებოდათ. ბიძია კრისტოფალი სწორედ ოსტატი კაცი იყო თავისის საქმისა. დიდს აღტაცებაში მოვდიოდი, როცა იმ სუფთა დუქნის მორთულობას ვხედავდი ხოლმე. კედლებზედ ასოასოდ დაჭრილი ხორცი ეკიდა და შიგ და შიგ დატანებული ჰქონდა ყვავილები, სურათები და ლუსკუმები მუშტრის გულის მოსაგებად. კვირაში ორჯერ შერეკდნენ ხოლმე პატივცემულის ყასპის ეზოში საკლავსა; მე მათს მაყურებელს გულში ერთი ბეწო სიბრალულიც არ გამივლიდა ხოლმე. ცოცხალი და ლაფში მოსვრილი საქონელი უფრო ნაკლებ მომწონდა, ვიდრე ბიძია ქრისტოფალისაგან დაკლულნი, ოსტატურად ასო-ასოდ დაჭრილნი და ლამაზად ჩამოკიდებულნი. ჯერ რასაკვირველია შიში გამიტაცებდა ხოლმე როცა ვხედავდი ჩვენის მეზობლის გასისხლიანებულს ხელებს, სისხლში მოსვრილს ტანისამოსს, გრძელს საყასბოს დანას და სხვას ამ გვარს. ბოლოს და ბოლოს ამ შიშმა ადგილი დაუთმო აღტაცებულს მოხიბლვას, რომელსაც თან და თან ვგრძნობდი და რომლის შეყენება ველარ შევიძელი. არც აფთექა თავისის მწვანე და წითელის ბადიებით, რომელნიც მჭვირვალებდნენ სანთლის შუქზედ, არც სასამართლო თავისის დიდის და მშვენიერის დარბაზით, არც ეკკლესია აუარებელის სანთლებით გაჩაღებული, მშვენიერის გალობით შემკული—არასფერი ამისთანა, ჩემის ფიქრით, ვერ შეედარებოდა ქრისტოფალის დუქანსა. მშვენიერი სუნი ახლად დაღვრილის თბილის სისხლისა, ლამაზი სანახაობა ეს ეს არის ეხლა დაჭრილის ხორცისა, სისპეტაკე მარმარილოს ფიცრისა, რომლიდამაც მსყიდველს ხორცი ეძლევოდა, ყვავილები, თაიგულები სისხლის წინწკლებით გამშვენებულნი,—ყოველს ამას აღტაცებაში მოვყავნდი. მე მშურდა კიდეც რომ ქრისტოფალის შეგირდი დაიმკლავებდა ხოლმე და შველოდა პატივსაცემს ყასაბსა....ვიშ, რატომ მე არა ვარ, მეთქი ...

იმ ხანებში მე ესეთი ჯანმრთელი და მხნე არ ვიყავ, როგორც ეხლა მხედავთ. მე შვიდის წლისა ასეთი ჯანდაგი, მჭლე და შიშ-დაცემული ვიყავ, რომ ვინც მხედავდა, ყველას ვებრალებოდი. აი ამის გამო მოხდა, რომ როცა მე ერთხელ მაძავძაგებდა ჩვენის კარების დირეზედ, თუმცა გარედ მზე ჰსწვავდა, ქრისტოფალმა უთხრა მამა ჩემს:

— ყური მიგდე, მეზობელო! რამდენიმე ხნით მომაბარე მე შენი შვილი და ისეთ ჯანმრთელს დაგიბრუნებთ, როგორც კამბეჩს და ისეთს წითელს როგორც ხაშხაშის ყვავილს. ვინც სხვის სისხლს დასტრიალებს, თავისიც ემატება. თუ კი დილიდამ საღამომდე ჩემთან ყოფნა არ შეეზიზღება, მე მაგას მოგირჩენთ, ისე რომ თქვენ თვითონ გიკვირდეთ. ლათინურის სწავლა მღვდლების და მეაფთექების საქმეა. მაგით მერეთაც შეიძლება გაუმსოთ ტვინი, როცა პატარა მოჯანიანდება. თუ მაინც და მაინც სწავლულ კაცად გინდათ გამოიყვანოთ, მაგას მერეც მოესწრობით, ჯერ ცოტათი ხორცზე მოვიდეს. მე თქვენთვის ვამბობ, თორემ აქ რა შუაში ვარ! მე მარტო თქვენი პატივის-ცემა მალაპარაკებს და მინდა რამ სამსახური გაგიწიოთ, რადგანაც თქვენცა და თქვენი ცოლიც ორნივ სათნო და კაი ადამიანები ხართ...

ეს თათბირი ვერაფრად მოეწონა საწყალს დედა ჩემს; მაგრამ მამა ჩემმა როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე აუხსნა, რომ მე იქავ თვალწინ ვეყოლები, რომ მე მოვჯობიანდები, რომ ჩემს აგებულებას სიმრთელე მოემატება, რომ მარტო მრთელს სხეულშია მრთელი სულიცა. მეც თვითონ სიხარულით ფეხზედ ველარ დავდეგ, როცა წარმოვიდგინე, რომ მეც იმისთანა სალი და მაგარის აგებულებისა შევიქმნები, როგორიც ჩემი ამხანაგები იყვნენ. ბოლოს დედაჩემიც დაემორჩილა მამა ჩემს და თანხმა შეექმნა.

ნეტა ღმერთმა რად მიჰსცა ამისი ნება?

ეკ. ღვინიაშვილისა.

(შემდეგი იქნება.)

---

## სასამართლოს მატიანე.

### საქმე ანდრეევსკის ქალის მოკვლისა.

(შემდეგი)

შემოიყვანეს მოწამე მომრიგებელი მოსამართლე წინამძღვარიოვი, რომელმაც უამბო სასამართლოს შემდეგი: „22 მკათათვეს 1876 წ. მე და ის სულხანოვი ვისხედით და ვლაპარაკობდით. ღამის მეთორმეტე საათზედ სულხანოვს ანდრეევსკიანთაგან კაცი მოუვიდა—ქალბატონი გიბარებსო, და ამავე დროს უთხრა, რომ ანდრეევსკის ქალი დაისხრჩოვო. სულხანოვმა თავში ხელი იკრა და მაშინვე დააპირა წასვლა. ამ დროს ჩხოტუაც მოვიდა, რომელიც ეცა სულხანოვს და აღელვებულის ხმით უთხრა: „დავიღუპეთ.“ უწინ დავით ჩხოტუას არ ვიცნობდი. ჩემ ამხანაგს მაშინვე დავუძახე და უთხარ რაც მოხდა; ამასთანავე დავუმატე, რომ ანდრეევსკის ქალი, როგორც გამიგონია, ჩინებული ქალი იყო მეთქი; ჭკუით და განათლებით ირჩეოდა საზოგადოებაში. დახე მის ბედს მეთქი, თითქო განგებ დასახრჩობლად ჩამოიყვანა ტფილისშა! სწორედ მოგახსენოთ, იმ დროს მეც მჯეროდა ანდრეევსკის ქალის დახრჩობა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. სულხანოვისაგან გამეგონა, რომ ანდრეევსკიანთ გოგო არ ჰყვანდათ და ამიტომ სუმბათოვს შევუთვალე გოგო გაუგზავნე მეთქი ანდრეევსკის ცოლს, რომელიც შეწუხებული იქმნებოდა და მოახლე დასჭირდებოდა. პატარა ხანს უკან სუმბათოვიც მოვიდა—რა ამბავიაო. უამბე რაც მოხდა და ვუთხარ ანდრეევსკიანთსა წადი მეთქი და პოლიციასაც შეატყობინე, რომ მტკვარში მონახონ. ნახევარ-საათის შემდეგ მოვიდა ვიღაც უმაწვილი კაცი, სათვალებიანი, რომელმაც მითხრა სულხანოვი გიბარებსო. მანამ ტანს ვიცვამდი მელიქ-ბეგლაროვი მოვიდა, რომელმაც მითხრა, რომ ანდრეევსკის ქალის დახრჩობა შემატყობინესო და იქ ვეჩქარებიო. მელიქ-ბეგლაროვმა მთხოვა ერთად წავიდეთო. ჩხოტუა აფთიაქში წავიდა და ჩვენ კი ანდრეევსკიანთსა. სახლს რომ მიუახლოვდით, საშინელი სანახაობა დაგვიხვდა—მოხუცებული, თმაგაშლილი დედა-კაცი ძალად ეცლებოდა სულხანოვს ხელიდამ. ანდრეევსკის ცოლმა იცნო მელიქ-ბეგლაროვი, მივარდა მას, დაუწყო ხელების კოცნა და თან ეუბნებოდა: «მოკლეს, წაიყვანეს, მომეცით ჩემი ნინო.“ ჩვენც, როგორც შევიძლეთ ნუგეში ვეცით. შემდეგ დაუწყეთ ძებნა. სწორე მოგახსენოთ, მე ძალიან მინდოდა მენახა ის ალაგი, სადაც ნინო დაიხრჩო. გამიყვანეს ვიწრო ბილიკზედ, რომლის ბოლოს ჩასავარდნი ადგილია. აქ შევდექი და ვკითხე: აქ როგორ გამოივლიდა მეთქი საბანებლად? ამ დროს დავით ჩხოტუამ სთქვა: მეც ყოველთვის ჯოხებით ჩავდიოდი ხოლმეო. მე და პოლიცმეისტერი ძლივს ჩაგვიყვანეს პოლიციის სალდათებმა. მტკვრის პირას დავინახეთ ტანისამოსი და ფეხსაცმელები. კვალს ვეძებდი, მაგრამ წალების დაჩნეულის გარდა სხვა არავითარი კვალი არ მიპოვია. ვკითხე—ეს კვალი რას ნიშნავს მეთქი და ჩხოტუამ მიპასუხა, რომ ყველაზედ უწინარეს მე და ზურაბ ქორიძე ჩამოვედითო და ტანისამოსი დავინახეთო. შემდეგ წავავლე ხელი ფეხსაცმელებს—ფეხსაცმელები სრულიად სუფთანი იყვნენ. წითელი ძირები, რომელთაც მწვანე ლაქები ეტყობოდათ თითქო მსუქანის ბალახისაგან. წავავლე ხელი კაბას - კაბის ბოლოც სუფთა იყო. ამან მაფიქრებინა, რომ აქ უთუოდ ავკაცობა იყო რამე. ამასთანავე ვიფიქრე, იქნება ანდრეევსკის ქალს უყვარდა ვინმე მეთქი; წაველი ანდრეევსკის ცოლთან და ვკითხე. იმან ამაზედ მიპასუხა: „არა შვილო, შენ, ჰსჩანს, არ გიცვნიათ ჩემი ნინო. ის იყო გასაოცარი ქალი, ჩემი არამც თუ შვილი არამედ მეგობარიცაო. ნინო იმდენად თავისუფალი იყოვო, რომ ყოველთვის შეეძლო თავის ნებაზედ არჩევა მეგობრისაო. ამ დღეს შინ არ ვიყავითო და დავბრუნდით საღამოს შვიდ რვა საათზედაო. ჩვეულებრივ ნინომ გაიძრო კაბაო,

რომლითაც მოვიდაო, ჩაიცვა სხვა საშინაო კაბაო და ჭპერტყავდა გახდილს ტანისამოსსაო. მე კი ამ დროს, ვგონებ, ქაღალდსა ვშლიდიო. კორიდორიდამ რომ ფეხის ხმა მომესმაო, დაუძახე ჩემთვის წყალი მოეტანათო. ამაზედ ზურაბის პასუხი „ამ საათში“ მომესმაო. მაგრამ არავინ კი არ მოვიდაო. დავინახეო, რომ ნინოს მიერ დატოვებული სანთელი ქრებოდაო და შევწუხდიო თუ ნინომ ასე რად დაიგვიანაო. კარიდორში რომ გამოვედიო ზურაბამ მიპასუხაო: „ეხლა აქ იყო“. აქ ის სანთელიც დავინახეო, რომელიც ნინომ თან წაიღოვო. მე ვიფიქრეო, რომ ნინო „კრუჟოკის“ ლოჟესთან მოვიდოდაო, რადგანაც ერთხელ კიდევაც იყოვო. ზურაბა თან გავიყოლიეო და ლოჟესთან წავედიო; მაგრამ ჩემმა ძებნამ ამაოდ ჩაიარაო. ბევრი უძახე ნინოსაო, მაგრამ ვერ გავაგონეო. ბაღიდამ რომ გამოვედიო, ფანჯარაში დავით ჩხოტუა დავინახეო, რომელმაც იკითხა რა ამბავიაო. ნინოს დაკარგვა ვუთხარიო. პატარა ხანს უკან დავით ჩხოტუა ჩამოვიდაო და კანკალებდაო. მე და ზურაბა ნიკოლოზ ჩხოტუას ოთახში შევედითო მის დასაძახებლად. ნიკ. ჩხოტუას საბანი ეხურაო, მაგრამ ჩაცმული კი იყოვო. ორნივე ძმანი ისე მაგრა მიჭერდნენო, რომ ხელები ეხლაცა მტკივაო“. დილის ოთხ საათზედ მოვიდა გამომძიებელი. დაიწყეს მტკვრის გასინჯვა იმ ალაგას სადაც ტანისამოსი ეწყო. გამოჩნდა, რომ მტკვარი იქ სამ ალაგას იყო ჩაღრმავებული, სადაც მენავეების სიტყვით, ნინო უსათუოდ უნდა ჩავარდნილიყო ბანაობაში რომ დამხრჩვალიყო. ამის შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ ანდრეევსკის ქალი ძალად მოკლული უნდა ყოფილიყო.— ანდრეევსკის ცოლი ამბობდა ჩემი ქალი ერთის მიზეზის გამო ვერ იბანაებდაო. ანდრეევსკინთ სახლიდამ რომ გამოვდიოდი ეზოში, დავინახე, რომ დავით ჩხოტუა ელაპარაკებოდა გაბისონიას, რომელიც დატუსაღებული იყო. სწორე მოგახსენოთ, ამ გარემოებამ სრულიად გამომაცვლევინა აზრი დავით ჩხოტუაზედ. გამომძიებელს ვუთხარი; გამომძიებელმა უთხრა ჩხოტუას—აკი აღიკრძალეთ დატუსაღებულთან ლაპარაკიო. ამაზედ დავით ჩხოტუამ უთხრა, რომ დაფიქრებული უეცრად გაბისონიას მიუახლოვდიო და გაბისონიამ მითხრაო: „უბრალოდ რად ვიღუპებიო“. დავით ჩხოტუა ლაპარაკში მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ნინო დაიხრჩოვო. მე კი ვეუბნებოდი, რომ საფიქრებელი არ არის მეთქი, რომ ანდრეევსკის ქალი ღამე და იმ ალაგას საბანებლად წასულიყო. ჩხოტუამ მითხრა, რომ თუმცა ეგ საბუთიანი მოსაზრებაა, მაგრამ თუ ხვალ მკვდარი იპოვესო, მაშინ შეიტყობთ ნამდვილსაო. ამასთანავე მკითხავდა—მეცნიერებას გამოკვლეული აქვს თუ არაო განსხვავება წყალში დახრჩობისა და ისე დახრჩობის შორის. მე ვუპასუხე ალბათ გამოკვლეული აქვს მეთქი. მეორე დღეს ყარაიასში მართლაც იპოვეს მკვდარი. მე, გამომძიებელი, ექიმი მრევლოვი და პროკურორის თანაშემწე ხლადოვსკი წავედით ყარაიასში. რო მივედით მკვდარი მიწაში იყო ჩაფლული (მტკვრის კუნძულში). მკვდარი ამოიღეს, გავშინჯეთ და შემდეგ ტარანტასში ჩასდეს, სირგვლივ ყინულები შემოუწყეს და ქალაქში ჩამოიტანეს. მეორე დღეს მკვდარი შერვაშიძეს უჩვენეს. შერვაშიძემ ჯერ თითქო ვერ იცნო და შემდეგ, გაფუჭებული თითი რომ დაინახა, იცნო. დავით ჩხოტუამაც იცნო ანდრეევსკის ქალი. მკვდარი ჩემთან გასჭრეს და თავის განში ალაგ-ალაგ დაგუბებული სისხლი ნახეს. ექიმი ბლიუმბერგის აზრით ეს დაგუბებული სისხლი უთუოდ სიცოცხლის დროს უნდა მოსვლოდაო; ტვინში დაპატარავებული ჭქონდა; კუჭში წყალი არ იყო. გულზედაც ორ ალაგას ჭქონდა დაგუბებული სისხლი. გარდა ამისა ქალი უმანკო იყო.

თუმცა ანდრეევსკის ქალთან პირადი ცნობა არა მქონია, მაგრამ ექიმი ამიროვისგან გამიგონია, რომ ნინოს თავისის ჭკუით ისე გაუსტერებია ამიროვი, რომ სამი კვირა გაუტარებია მას ანდრეევსკის ქალთან დიდის სიამოვნებით. სულხანოვისაგანაც ბევრი რამ გამიგონია ანდრეევსკის ქალის შესახებ. სულხანოვს რომ ვკითხე ბანების სურვილი ხომ არ გამოუცხადებია მეთქი, მიპასუხა—ნინო ბანებას ვერ გაბედავდაო, რადგანაც სხვებისაც უჭირდა იმისთანა ტალახიან წყალში როგორც ბანაობენო. გარდა ამისა იმ ალაგას ბევრი ხალხი ბანაობს და ანდრეევსკის ქალი კი ძალიან მორცხვი იყო.— პიპინოვმა წამიყვანა ციხეში, სადაც პეტრე გაბისონია გატეხილა თურმე ერთის ტუსაღის (მგონია წერეთლის) წინაშე. ამ ტუსაღმა გვითხრა, რომ გაბისონიამ მიამბოვო თუ როგორ შეუთრევიათ ანდრეევსკის ქალი და როგორ მოუკლავთ ჩხოტუას თანაშემწეობით. გაბისონიამ მითხრაო,—ამბობდა წერეთელი,—რომ მოკვლის შემდეგ ანდრეევსკის ქალი ტომარაში გავახვიეთო, იქითა ნაპირას გადავიყვანეთო და ფაეტონით ყარაიასში წავიყ-

კარეთო.—ოსკანოვმა, ერთის პივის დუქნის პატრონმა, შიამბო, რომ მის დუქანში ვიღაცა ხუნდაძეს უღაპარაკნია ჩემ ძმას უბედურების შემთხვევაზე. ოსკანოვს უკითხავს ხუნდაძისათვის—რა უბედურებაო, და ამას უთქვამს, რომ ჩემ ძმასა და სხვებს ვიღაცა ქალი მოუკლავთო და ფაეტონით წაუყვანიათო; თეატრი და ალექსანდროვის ბაღი რომ გაუვლიათო, ხიდთან ალიხანოვი დასწევდრიათო, რომელმაც, ცოტა გაწყდა, არ დაინახაო, და რო დაენახა დაიღუპებოდნენო. ხუნდაძემ მითხრაო,—სთქვა კიდევ ოსკანოვმა,—რომ მეფაეტონეს ნიკოლოოზ ერქვაო. დავით ჩხოტუა იმ დღეს (22 მკათათვეს) ძალიან უცნაურად იქცეოდა: ერთ ადგილას ვერ იჯდა, წამ და უწუმ საათს დასცქეროდა, ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა."—„იმ ღამეს ანდრეევსკის ცოლი ისე გარეტიანებული იყო, რომ ვერავერის მოსაზრება ვერ შეეძლო მაგრამ მეორე დღეს კი თქვა—მიკვირსო დავით ჩხოტუა ისე მალე როგორ ჩამოვიდაო.—მანამ ის ოთახი არ გასინჯეს, სადაც ცული იდო (რომლითაც ძაღლი იყო მოკლული), ორნი ძმანი ჩხოტუები გულმშვიდათ იყვნენ. მაგრამ გამომძიებელმა რომ ოთახების გასინჯვა დააპირა, ორთავე ძმებს სახე სრულიად გაუფითრდათ.—მე ნამდვილად ვიცი, რომ იმ ღამეს ეზოში ძაღლები არ იყვნენ.»

წინამძღვაროვის ნაამბობის შესახებ პეტრე გაბისონიამ სთქვა შემდეგი: „კიდეც მე რო მქნას იმ ტუსაღს როგორ გაუტყდებოდი; მაგრამ მე არავითარი ავკაცობა არ მიქნია და იმ დროს ავად ვიყავი. შვიდი თვე მარტოდ ვიყავ დამწყვდეული, ღოღაძეც მკითხავდა მაგრამ რაში უნდა გავტეხილიყავ. გამომძიებელთან მიმიყვანეს გამოსაკითხავად, მომრიგებელი მოსამართლეც იქ იყო, რომელიც მეუბნებოდა: „თუ მართალს იტყვი ხელი დაჰკარ"; მაგრამ მომრიგებელ მოსამართლესა არ გავუტყდი და იმ ტუსაღს როგორ გავუტყდებოდი.

(შემდეგი იქნება.)

## მიხაილოვის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

თავმჯდომარე მიხაილოვის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა, წესდების § 79-ის და ზედამხედველის კომიტეტისაგან 8 თებერვალს 1878 წ. დადგენილის გარდაწყვეტილების ძალით, მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვსთ უფლება მონაწილეობის მიღებისა ბანკის შესახებ საზოგადო კრებისათვის, რომელიც დანიშნულია ამა 1878 წ. 26 აპრილს დილის 11 საათზე ბანკის სადგომზედ, ქ. ქუთაისს თ. გ. ნიჟარაძის სახლში.

### განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება მიხაილოვის საადგილ-მამულო ბანკის წარსულის დროის ანგარიშისა;
2) ამორჩევა ზედამხედველი კომიტეტის ორის წევრის, იმ ორ წევრთა მაგიერ, რომელნიც წილის ყრით უნდა გამოვიდნენ კომიტეტიდგან (§ 76);
3) განხილვა და დამტკიცება მიხაილოვის ბანკის დამფასებელთ ინსტრუქციისა;
4) გარდაწყვეტილება თბილისის კაზიონნი პალატის მოსამსახურე პირთა დაჯილდოების შესახებ ბანკის ფულების შენახვისათვის;
5) ბანკის წესდების ზოგიერთის მუხლების (§ §) შეცვლა და დამატება;
6) გარდაწყვეტილება ცვლილებისა სმეტით დანიშნულ ხარჯებში;
7) ფულის შემოტანის დროვება ბანკის იმ მოვალე პირთა თხოვნით, რომელნიც იღებენ მონაწილეობას ომში;
8) განხილვა და დამტკიცება საქმის წარმოების ინსტრუქციისა, საზოგადო კრებაში;
9) ხელმოწყვეტ ფულის დანიშვნა ორის სტიპენდიისათვის;
10) დანიშნულება იმ ბანკის წმინდა შემოსავლისა, რომელიც ირიცხების დასაკმაყოფილებლად საზოგადო საჭიროებათა;
11) გარდაწყვეტილება მონაწილეობისა, რომელიც ბანკმა ჯერ არს მიიღოს რუსეთის საადგილ-მამულო ბანკთ წარმომადგენელ კრებაში.

# განცხადება

ძალითა წესდებისა § 83 და კამიტეტის განაჩენისა, 4-სა მარტს 1878 წ. დადგენილისა თავ-მჯდომარის მაგიერი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის ზედამხედველის კამიტეტისა, იწვევს ბანკის დამწესებელთ წევრთა მეოთხე ჩვეულებრივ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია 25-ს აპრილს ამ 1878 წლისას, 10 საათზედ დილით ბანკის სადგომში.

კრებ-ს განსახილველნი საგნები შემდეგნი იქნებიან:

1) განხილვა და დამტკიცება ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა წარსულის 1877 წლის ანგარიშისა.

2) აღნიშვნა იმ საყოველთაო საჭიროებისა, რომელსაც უნდა მოხმარდეს მოგებიდამ გადადებული, თანხმად § 90-სა, ფული 45%—10,322 მანეთი და 61 კაპეიკი.

3) წესდებას ზოგიერთთა მუხლთა საჭიროდ ცნობილი ცვლილება და დამატება (§§ 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 66 და 83)

4) განხილვა უძრავთ ქონებათა დაფასების ინსტრუქციისა.

5) 68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 წესდების მუხლთა ცვლილებანი, რომელნიც, თანხმად 18 მაისის 1876 წ. საზოგადო კრების განაჩენისა, წარდგენილ იქმნენ ფინანსთა მინისტრისადმი დასამტკიცებლად.

6) მოხსენება მასზედ, რომ ფინანსთა მინისტრმა უარ-ჰყო შუამდგომლობა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შესახებ პრიკაზიდამ ვალების გადმოტანისა თავად-აზნაურთა ბანკში.

7) მოხსენება მასზედ თუ,—რა ვადით არიან ამორჩეულნი 1876 წ. საზოგადო კრებისაგან დამფასებელნი და ამ ვადის შესახებ როგორ უნდა იგულისხმებოდეს § 64 წესდებისა.

8) მოხსენება მასზედ, რომ საჭიროა ჩვენმა ბანკმაც მიიღოს მონაწილეობა რუსეთის საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებაში.

9) მოხსენება მასზედ, რომ მიღებულ იქმნან ბანკის დამწესებელ-წევრად ის მიწათ-მფლობელნი თავად-აზნაურნი, რომელთაც ყმათ განთავისუფლებისათვისა ფული მიუღიათ და რომელნიც ისურვებენ მათზედ შეწერილი, თავად-აზნაურთა საზოგადო კრების 29-ს ნოემბერს 1872 წ. ოქმით, ფული შემოიტანონ ბანკში სულ ერთად.

10) ამორჩევა ზედამხედველის კამიტეტის სამის წევრისა ნაცვლად თ. რევაზ ივანეს ძის ანდრონიკაშვილისა (გარდაცვალებულისა), თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბებუთოვისა (უარი ჰსთქვა) და გიორგი ნიკოლოზის ძის ყაზიბეგისა (ქალაქში არ იმყოფება).

11) ამორჩევა ბანკის გამგეობის წევრისა ნაცვლად თ. ალექსანდრე ზაალის ძის ჩოლოყაშვილისა, რომელსაც ამ წელს შეხვდა რიგი გასვლისა (§ 67).

12) ამორჩევა ერთი დამფასებლისა ნაცვლად თ. ივანე ზაალის ძის ავალოვისა, რომელიც თავისის ნებით სამსახურიდამ გადადგა,—და ამორჩევა დამფასებელთათვის ორის კანდიდატისა.

და 13) მოხსენება მასზედ, რომ დამზოგველთა ამხანაგობას ივერიას დაენიშნოს სასესხებლად 2,000 მანეთი იმ ფულიდამ, რომელიც გადადებულია საყოველთაო საჭიროებისათვის.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Апреля 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.